



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
წიაღის ეროვნული სააგენტო



KA020113503757721

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

ბრძანება № 539/ს

20 / აპრილი / 2021 წ.


„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 19 მარტის N382/ს ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის №1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წიაღის ეროვნული სააგენტოს დებულებების" მე-4 მუხლის "ვ" ქვეპუნქტისა და სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 16 აპრილის N528 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 19 მარტის N382/ს ბრძანება;
2. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ სამსახურს დაინტერესებული მხარისთვის ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა;
3. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ სამსახურს, აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის მიწოდების უზრუნველყოფა;
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა, №2)

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის  
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად 

ნანა ზამთარაძე